პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

25 ოქტომბერი, შაბათი, 1986 წ.
№ 205 (2366) ◉ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ნათელი მომავლისათვის

**24-31 ოქტომბერს** გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით მთელს ჩვენს პლანეტაზე გაიმართება განიარაღებისათვის მოქმედების ტრადიციული კვირეული. წელს ამ კვირეულს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი ეწყობა საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ.

განიარაღებისთვის მოქმედების კვირეულს ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნავს ჩვენი ხალხი. რესპუბლიკის მოწინავე საწარმოებმა ივალდებულეს დამკვრელურად იშრომონ და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ მშვიდობის დაცვაში. დიახ, კოლექტივების ფიზკულტურელები, როგორც ყოველთვის, აქაც ავანგარდში იქნებიან. მშვიდობის ფონდში გადაირიცხება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების შემოსავალი. კვირეულის პროგრამით 31 ოქტომბერს რესპუბლიკის ყველა უფროსკლასელი გამოვა სამუშაოდ და მთელი გამომუშავებული თანხა შეემატება მშვიდობის ფონდს.

ვალში არც ჩვენი სპორტსმენები დარჩებიან: კვირეულის აღსანიშნავად გაიმართება შთამბეჭდავი მასობრივი შეჯიბრებები სპორტის ცალკეულ სახეობებში, მოეწყობა აგრეთვე მშვიდობის ესტაფეტები, კროსები. ხოლო ამავე დღეებში ქართული სპორტის ვეტერანები და ცნობილი სპორტსმენები შეხვდებიან მშრომელებს და ახალგაზრდებს. გაიმართება საუბრები იმ დიდ წვლილზე, რაც საბჭოთა სპორტს შეაქვს მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში.



## ვისი სკოლა უკეთესია

**ბავშვთა** და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული საფარიკაო სკოლების საკავშირო პირველობა მნიშვნელოვან შეჯიბრებად ითვლება ჩვენი ქვეყნის ჭაბუკი მუშკეტერებისათვის. ყაზანში ამჯერადაც 32 სპორტსკოლის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას ქუთაისის, თბილისის განათლების სამმართველოსა და „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს სპორტსკოლების ნაკრებები იცავდნენ. ასპარეზობა ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ უკვე შეიძლება შევაქოთ ნორჩი ქართველი სპორტსმენები, რომლებმაც პროგრამის პირველი ოთხი სახეობიდან სამში გამარჯვებას მიაღწიეს.

საკავშირო ასპარეზობებში წარმატებებს უფრო ხშირად მოფარიკავეები აღწევენ. ყაზანშიც ასე მოხდა: ჩვენმა წარგზავნილებმა პირად-გუნდურ პირველობაში ყველას აჯობეს. 17 წლის კახა მახარაძემ (შეჯიბრებაში 1969 წელს და უფრო გვიან დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ) შეჯიბრების 100 მონაწილე ჩამოიტოვა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. იმ დღეს მან ერთადერთი მარცხი იწვნია, ისიც წინასწარ შეხვედრებში, ნახევარფინალში და ფინალში კახამ მეტად დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ოდესელი ტარასენკო და კიეველი ოსტაპენკო (ორივე ერთნაირი ანგარიშით — 12:11).

ჩვენი სამეული (მახარაძე, არჩილ ლორთქიფანიძე და ჯემალ ანკვაბი) გუნდურ პირველობაში პირველ ნომრად იყო დასახელებული და გაამართლა კიდეც იმედი. ჩვენმა სპორტსმენებმა სძლიეს ფრუნზეს (5:0), სომხეთის (5:3), მოსკოვის (5:4), კიევის (5:4) სპორტსკოლების მოფარიკავეებს, ფინალში კი სარატოველი თანატოლები დაამარცხეს (5:3) და უძლიერესის წოდება მოიხვეჭეს. სამივე მოფარიკავე „ბურევესტნიკის“ სპეციალიზებული სპორტსკოლის გუნდის წევრია კახას მამამისი გოდერძი მახარაძე ავარჯიშებს, არჩილსაც მამა გურამ ლორთქიფანიძე წვრთნის, ჯემალ ანკვაბს კი თამაზ კაკულია ამეცადინებს.

მოულოდნელი იყო თბილისის განათლების სამმართველოს საფარიკაო სპორტსკოლის რაპირისტების გამარჯვება. როგორც ჩანს, ბიჭები პირად პირველობაში განცდილმა მარცხმა გააბრაზა და საბრძოლველად შეაკავშირა. ოლეგ ჩერნიშოვმა, დიმიტრი დავითაშვილმა და ვახტანგ ურუშაძემ ერთმანეთის მიყოლებით ჩამოიცილეს გზიდან მეტოქეები და მეტად საპატიო გამარჯვებაც მოიპოვეს. მათ ყველაზე ღირსეული წინააღმდეგობა ქუთაისელთა გუნდმა გაუწია. მასთან შეხვედრა თბილისელებმა მინიმალური ანგარიშით მოიგეს — 5:4, ლენინგრადის, სარატოვის, ყაზანის (ორი ნაკრები) წარმომადგენლებთან კი უფრო დამაჯერებლად გაიმარჯვეს. ჩერნიშოვს ლუდვიგ ლაღანიძე წვრთნის, დავითაშვილსა და ურუშაძეს — ბახვა მათითაიშვილი.



ვახტანგ ურუშაძე, დიმიტრი დავითაშვილი, ოლეგ ჩერნიშოვი.



ჯემალ ანკვაბი, კახა მახარაძე, არჩილ ლორთქიფანიძე.

მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

## დავით გობეჯიშვილი — ვერცხლის პრიზიორი

**ბუდაპეშტი.** თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატის გუნდური შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ლიდერთა შორის ძალთა ერთგვარი გადაჯგუფება მომხდარა. თუმცა ეს ცვლილება საბჭოთა კავშირის ნაკრებს არ ეხება. ჩვენი გუნდი იყო და რჩება მსოფლიოში უძლიერესად. მეტსაც გეტყვით, ამ ჩემპიონატში იგი უკეთ გამოვიდა, ვიდრე შარშან.

ამერიკელთა მეორე გუნდური ადგილი ამ ტურნირის ერთ-ერთი მთავარი სიურპრიზი გახლავთ. არადა, შეერთებული შტატების მოჭიდავეებმა ბულგარელებს მოპოვებული ქულებითაც და საპრიზო ადგილების რაოდენობითაც აჯობეს.

უთუოდ დიდ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ათლეტთა ორი ოქროს მედალი. თუმცა გასაკვირი აქ არაფერია. ამ ქვეყანას დაბალ წონებში ტრადიციულად ძლიერი მოჭიდავეები ჰყავს.

შესამჩნევად დათმეს პოზიციები ბულგარეთის, უნგრეთისა და გდრ-ის წარმომადგენლებმა, თუმცა გუნდურ ჩათვლაში ამ ქვეყნებმა შესაბამისად მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილები დაიკავეს. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ პრიზიორთა სიაში ისინი ამჯერად უფრო მოკრძალებით არიან წარმოდგენილნი. აღარაფერს ვამბობთ მონღოლეთსა და განსაკუთრებით იაპონიაზე. თავისუფალი ჭიდაობა ამ ქვეყნებში, როგორც ჩანს, ერთგვარ კრიზისს განიცდის.

ვნახოთ როგორ განაწილდა მედლები ქვეყნებს შორის:

| | I | II | III |
|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 6 | 2 | 1 |
| აშშ | 1 | 3 | 3 |
| კსდრ | 2 | — | — |
| კუბა | 1 | — | — |
| ბულგარეთი | — | 2 | 3 |
| გდრ | — | 1 | 1 |
| უნგრეთი | — | 1 | — |
| იაპონია | — | 1 | — |
| მონღოლეთი | — | — | 1 |
| ჩეხოსლოვაკია | — | — | 1 |

ახლა რამდენიმე სიტყვა თვით ტურნირზე. ჩვენ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში მძიმეწონოსანთა ასპარეზობა გვაინტერესებდა, სადაც გამარჯვების მთავარ ფავორიტებად მსოფლიოს შარშანდელი

იხ. მე-3 გვ.



დავით გობეჯიშვილი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ჭადრაკში

## ნანა იოსელიანს ვინ შეაჩერებს

ფრუნზე, 24 ოქტომბერი (დეპეშით, „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი). 22 ოქტომბერს მოჭადრაკე ქალთა 46-ე საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეები გადადებული პარტიების დასამთავრებლად მიუსხდნენ დაფებს. გთავაზობთ ამ შეხვედრათა შედეგებს:

**VII ტური:** გურიელი — ლაგვილავა 1:0, ეპშტეინი — რუჩიევა 0,5:0,5; **VIII ტური:** არახამია — გურიელი 1:0, მუჩნიკი — სემიონოვა 0:1, პრუდნიკოვა — ბაგინსკაიტე 0,5:0,5; **IX ტური:** ეპშტეინი — ლაგვილავა 1:0, ლევიტინა — ზაიცევა 1:0, ბაგინსკაიტე — რუჩიევა 1:0, სემიონოვა — პრუდნიკოვა 0:1, ვორონოვა — არახამია 0,5:0,5, მატვეევა — უსკოვა 0,5:0,5.

23 ოქტომბერს შედგა **X ტურის** შეხვედრები. ნანა იოსელიანმა კიდევ ერთი გამარჯვება ჩაიწერა აქტივში. შავი ფიგურებით მან 27-ე სვლაზე დაამარცხა პრუდნიკოვა. აღსანიშნავია, რომ I ტურში წაგებული პარტიის შემდეგ ნანამ ყველა დანარჩენი, 9 შეხვედრა მოიგო და დამაჯერებლად ლიდერობს ჩემპიონატს. ამ ტურში ზაიცევამ დაამარცხა მუჩნიკი, ლაგვილავამ წააგო მატვეევასთან შეხვედრა. დაზავდნენ სახატოვა — ვორონოვა და ლევიტინა — ლელჩუკი. დანარჩენი პარტიები გადაიდო. არახამია — ეპშტეინის შეხვედრაში ქართველ მოჭადრაკეს ზედმეტი პაიკი აქვს.

10 ტურის შემდეგ, როგორც ვთქვით, წინაა ნანა იოსელიანი — 9 ქულა (10 შეხვედრიდან). შემდეგ მოდიან: ნინო გურიელი, ზოია ლელჩუკი (ლვოვი) — 6,5-6,5, ქეთევან არახამია — 6 (1), ირინა ლევიტინა (ლენინგრადი; ყველა — 9-9 პარტიიდან), სვეტლანა მატვეევა (ფრუნზე; 10-დან) — 5,5-5,5.

**იაკობ ლაპიდუსი.**



## ვერა თუ ვაკე?

**მინიფეხბურთში ეს დავა დღეს გადაწყდება, მატჩი გაიმართება 16 საათზე თბილისის სპორტის სასახლეში. 14 საათსა და 30 წუთზე შედგება მატჩი მესამე ადგილისათვის. ერთმანეთს ხვდებიან დიღმისა და ორთაჭალის გუნდები.**

დღესვე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე მინიფეხბურთში თბილისის უბნების პირველობა საზეიმოდ დაიხურება.

## და... „სტიპლ-ჩეისი“

**26 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე ეწყობა განიარაღებისათვის მოქმედების კვირეულისადმი მიძღვნილი საცხენოსნო სპორტული ზეიმი. გაიმართება დოღები, რბოლა, შეჯიბრებები და საჩვენებელი გამოსვლები ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში. პროგრამაში შედის აგრეთვე შეჯიბრება „სტიპლ-ჩეისში“.**

**დასაწყისი 16 ს. 30 წ.**

## კარპოვი და ტიმანი...

**როგორც** ვიუწყებოდით, ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში მიმდინარეობს დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. ოთხი ტურის შემდეგ შეჯიბრებას 2,5-2,5 ქულით ლიდერობენ ანატოლი კარპოვი და იან ტიმანი. ჰოლანდიელ დიდოსტატს ერთი გადადებული პარტიაც აქვს.

ვეძებთ ტალანტებს! — „ლელოს“ რეგიონალურ-რესპუბლიკური შეჯიბრება მძლეოსნობაში

# სელექცია — რეზერვის რეზერვი

## სპორტსახკომის მძლეოსნობის სამმართველომ მისაბაძი თაოსნობა გამოიჩინა

**საქმეში** ჩახედულ კაცს, უსათუოდ ეჭვი შეეპარება იმ მწვრთნელის გულწრფელობაში, რომელიც ჩუდამდლე ნიჭიერ მოწაფეთა ნაკლებობაზე წუწუნებს. მართლაც რა საბუთია? ბავშვებს ხტომაც ემარჯვებათ და სირბილიც. მათი დაინტერესება კი მწვრთნელს შეუძლია, ალღოიან და კვალიფიცირებულ მწვრთნელს. თანაც რაც უფრო ბევრ ბავშვს ნახავს და შეამოწმებს იგი, შედეგიც მით უკეთესი ექნება.

ჩვენი მძლეოსნობის ღვაწლმოსილ მწვრთნელებს, მაგალითად ბორის ტახტაროვს, შალვა კილაძეს და სხვებს საქართველოს მთა-ბარი ჰქონდათ მოვლილი. სად არ ეძებდნენ ისინი პერსპექტიულ მძლეოსნებს... მთაში უფრო მტყორცნელებისა და მხტომელების პოვნის იმედი ჰქონდათ, ბარში — მორბენლებს არჩევდნენ. ასე მიაგნეს დუშეთში კარლო გოროძემაშვილს და ვლადიმერ გუდაშვილს, ზუგდიდში — ჯემალ სხულუხიას, სამტრედიაში — ინგა მხეიძეს, ახმეტაში — ამურ ბაგაურს და სხვებს.

მაგრამ დრო გავიდა და მწვრთნელთა ის თაობა სარბიელს ჩამოსცილდა. ასეთი საჭირო „გასტროლები“ კი როგორღაც „მოდიდან გამოვიდა“. ამას ისიც დაემატა, რომ ახლა ერთ პერსპექტიულ მძლეოსანს რამდენიმე მწვრთნელი „ითვისებს“. „ჩავიდეთ რაიონებში, მოვიძიოთ კარგი მონაცემების მქონე ბავშვები“, ხშირად გაიგონებთ მძლეოსნობის სპეციალისტთა თავყრილობებზე, მაგრამ სიტყვას საქმე იშვიათად მოსდევს.

განათლების სამინისტრომ და ჩვენი გაზეთის რედაქციამ, როდესაც რაიონებში მოსწავლეთა შორის მძლეოსნური შეჯიბრებების ორგანიზაციას მოჰკიდეს ხელი, პირველ რიგში სწორედ ნიჭიერ მძლეოსანთა გამოვლენა დაისახეს მიზნად. თან ერთხელ კიდევ სურდათ შეეხსენებინათ მწვრთნელებისთვის მათი ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობა — მუდმივად სელექციის წარმოება.

რამდენიმე დღის წინ რესპუბლიკის სპორტსახკომის მძლეოსნობის სამმართველომ (უფროსი ტარიელ ბახტაძე) ვანის რაიონთან ორმხრივი მოლაპარაკებისა და კონსულტაციების შემდეგ თავად ჩაატარა მოსწავლეთა შეჯიბრებები მძლეოსნობაში. შიდასაკლასო შეჯიბრებებში გამარჯვებული და საპრიზო ადგილებზე გასული IV-VIII კლასის მოსწავლეები სარაიონო პირველობაზე დაუშვეს საასპარეზოდ. ჩვენ სწორედ ამ ასპარეზობის შესახებ გვინდა მოგითხროთ.

ეს იყო ყოველმხრივ ორგანიზებული, მომზადებული შეჯიბრება. ამისათვის სპორტსახკომიდან რაიონში დროულად მიავლინეს საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი უფროსი მწვრთნელი ევგენი საპრონოვი და მწვრთნელი გიორგი სტეპანოვი. მათ თან ახლდა ამ რაიონის მკვიდრი ვახტანგ მინაშვილი, რომელმაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ახლახან დამთავრებულ მოსწავლეთა IX საკავშირო სპარტაკიადაზე. სარაიონო შეჯიბრება სწორედ მინაშვილის სახელობის პრიზზე გაიმართა. ნორჩ მძლეოსანთა ასპარეზობის ორგანიზაციაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს რაიონის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელებმა, საშუალო სკოლების დირექტორებმა და ფიზკულტურის მასწავლებლებმა. შეჯიბრება ვანის პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ნოდარ ანდრიაძემ გახსნა...

თეა მორჩილაძე, კობა ეფემეიშვილი, ზვიად აბრამიძე, ნინო ტყეშელაშვილი, ნუგზარ თვალაბეიშვილი, ხათუნა ადეიშვილი, ნანა ნამიჭეიშვილი, რუბენ მისაბლიშვილი — აი, ის მოსწავლეები, რომლებმაც სხვებზე მეტად გამოიჩინეს თავი და მწვრთნელთა ყურადღება მიიქციეს.

რასაკვირველია, ერთი შეჯიბრების ჩატარებით რაიონში მძლეოსნობა ვერ აღორძინდება, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელებმა შეკრებილთ აღუთქვეს, რომ ამიერიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ ამ საქმეს. მით უფრო მალე რაიონში დიდი სპორტული კომპლექსის მშენებლობაც დამთავრდება. ერთ-ერთ ვრცელ დარბაზს მძლეოსნებს დაუთმობენ. თბილისელმა მწვრთნელმა ევგენი საპრონოვმა შეიმუშავა ნორჩ მძლეოსანთა არჩევისა და შემოწმების მრავალფეროვანი ტესტების პროგრამა, რომლითაც რაიონის ფიზკულტურის მასწავლებლები იხელმძღვანელებენ. ეს მათ საშუალებას მისცემს დამოუკიდებლად აწარმოონ სელექცია და ავარჩიონ მოსწავლეები. გარდა ამისა, გადაწყდა, ვახტანგ მინაშვილის პრიზის გათამაშება ტრადიციული შეჯიბრება გახდეს და წელიწადში ორჯერ — გაზაფხულზე და შემოდგომაზე ჩატარდეს.

# რატომ სდუმდა ტელეფონი?

95-03-76 — ამ ნომერზე მთელი კვირის მანძილზე არავის დაურეკავს. ლიუდმილა გოლემბიოვსკაია, ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონის ფიზკულტურის ინსტრუქტორი, მთელი დღეების განმავლობაში ამაოდ ელოდა ზარს.

რატომ სდუმდა ტელეფონი? როგორც იცით, ჩვენი გაზეთის 5 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა განცხადება „ვეძებთ ტალანტებს“, რომელშიც ნათქვამი იყო: „ცხადდება რეგიონალურ-რესპუბლიკური დათვალიერება-შეჯიბრება მძლეოსნობაში. სტარტზე ვიწვევთ ყველა მოსწავლეს“, აქვე გამოქვეყნდა შეჯიბრების ჩატარების გრაფიკიც: რბენა (მოკლე, საშუალო და გრძელ დისტანციებზე) — 12 ოქტომბერს; ხტომა — 19 ოქტომბერს; ტყორცნა — 26 ოქტომბერს. შეჯიბრებები კლასებს შორის უნდა ჩატარებულიყო კვირა დღეებში საკუთარ ან ახლომდებარე სპორტულ ბაზებზე. თბილისის „დინამოს“ სტადიონის დირექციამ განიხილა ამ ღონისძიებების ჩატარების თაოსანთა მოწოდება და გადაწყვიტა 19 და 26 ოქტომბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონის ბაზები მთელი დღის განმავლობაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის დაეთმო. სტადიონის დირექტორის წერილში, რომელიც 7 ოქტომბერს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა, ნათქვამი იყო: ოფიციალურ განაცხადად მივიღებთ სკოლებიდან ტელეფონით შეტყობინებას. გთხოვთ დაგვირეკოთ, რათა შესაძლებლობა მოგვეცეს შევადგინოთ განრიგი — თითოეული სკოლა სტადიონზე მოვა განსაზღვრულ დროს და ისპარეზებს დროის დაუკარგავად.

ერთი სიტყვით, სტადიონი მზად იყო 19 ოქტომბერს ყველა მსურველი მიეღო, მაგრამ... ისინი არ ჩანდნენ. არ ჩანდნენ კერძოდ, პირველი მაისის 15 სკოლიდან. ისინი აქ არ მოსულან. ან კი როგორ მოვიდოდნენ, როცა წინა დღეებში ნომერი 95-03-76 არავის აუკრეფია.

**პეპი ბოჭორიშვილი.**

**რედაქციისაგან:** „დინამოს“ სტადიონთან ახლომდებარე სკოლების ასეთი უყურადღებობა პირდაპირ გაოცებას იწვევს. მით უფრო, რომ გასულ კვირა დღეს პირველი მაისის რაიონის ბევრ სკოლაში მძლეოსნობაში სასკოლო ღონისძიებები საერთოდ არ ჩაუტარებიათ. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, „დინამოს“ სტადიონის დირექციამ რაიონის სკოლებს წერილობით აცნობა იმის შესახებ, რომ მათ კვირაობით ბაზებს უსასყიდლოდ დაუთმობდნენ ბავშვთა შორის მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩასატარებლად. რაიონის განათლების განყოფილებაში მოიწონეს ეს თაოსნობა, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი კეთდება.

სპორტში ახალი ტალანტების გამოვლენაა საჭირო. მძლეოსნობაში ზემოაღნიშნული რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარების მიზანიც სწორედ ეს არის. სხვათა შორის, გასულ კვირა დღეს, მიუხედავად იმისა, რომ ამინდი შესანიშნავი იყო, ეს ღონისძიება არც ბორჯომში ჩაუტარებიათ. ქალაქის სტადიონი ამაოდ ელოდა სტუმრებს.

იმედი გვაქვს, ადგილებზე მკაცრად იმსჯელებენ მომხდარი ფაქტის შესახებ და შედეგებს გვაცნობებენ.

გარდაქმნა კონკრეტული საქმით იწყება

# საღამოს, ექვსის შემდეგ

**მუშაობის** ეფექტიანობის მნიშვნელოვან გადიდებაში, მისი ხარისხის გაუმჯობესებაში ბათუმის ცენტრალური გადასაცლელი ნავთობბაზის მშრომლები ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს უწოდებენ კარგად ორგანიზებულ დასვენებას.

...ეს ბაზა საუკუნეზე მეტი ხნისაა. კუსტარული საწარმოდან იგი მძლავრ წარმოებად იქცა, რომელიც ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის ოცდაათი სახელმწიფოს ბევრ მომხმარებელს. ნავთობბაზის მუდმივი განვითარება და ტექნიკური განახლება, მისი მუშაობის ინტენსიფიკაციის გადიდება, ყოველწლიურად ზრდის მოგებას, რაც სოციალური საკითხების გადაწყვეტის საშუალებას იძლევა.

— ორი წლის წინათ ჩვენმა მშრომელებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს — კულტურის ახალი სახლი, — თქვა მისმა დირექტორმა თამაზ გაბისონიამ. — მაშინვე გავხსენით სხვადასხვა წრეები, სექციები, ჯანმრთელობის ჯგუფები. თანაც, აქაც სჭარბობდა სამეურნეო ანგარიში, რომელიც ჩვეული გახდა კოლექტივის საწარმოო საქმიანობისათვის: მრავალი წრე ფასიანია, ისინი თვითანაზღაურების პრინციპით მუშაობენ. მათი მუშაობით მიღებული შემოსავლიდან ვუხდით ხელფასს კულტურის სახლის კოლექტივს.

ახლა ნავთობბაზის მუშაკებს აღარ აქვთ იმის პრობლემა, თუ სად წავიდნენ საღამოს, ექვსი საათის შემდეგ, როცა მთავრდება ცვლა. მათ განკარგულებაშია წრეები ინტერესების მიხედვით, მხატვრული თვითმოქმედება და, რა თქმა უნდა, სპორტული ღონისძიებები.

— გამაჯანსაღებელმა მუშაობამ 1,5 ათასზე მეტი კაცი მოიცვა, — თქვა ნავთობბაზის სპორტკომპლექსის ხელმძღვანელმა ბენო ფირცხალაიშვილმა. — შედეგები კარგი გვაქვს: მენავთობე-სპორტსმენებს შორის არიან თვით რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წევრებიც. მაგალითად, ოპერატორები გიორგი ანდრეადი და მიხეილ ლუკიანოვი, ზეინკალი ვლადიმერ კრავცოვი. იზრდება მოკრივეთა ღირსეული ცვლაც. ჩვენი აღსაზრდელები ჯონდო რურუა და ნოდარ კომახიძე საქართველოს შარშანდელი ჩემპიონატის გამარჯვებულები გახდნენ, წელს კი ეს წოდება მოიპოვა ელდარ აიკუცბამ.

— კულტურულ-მასობრივ მუშაობას, ფიზკულტურასა და სპორტს დიდი ხანია ჩვენს მოკავშირეებად ვთვლით. — ჩაება საუბარში საწარმოს პარტკომი ნოდარ ევგენიძე. მასთან სამართლიანადაა დაკავშირებული ავადობის შემცირება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, დისციპლინის განმტკიცება.

— სოციალური პრობლემების გადაწყვეტას ჩვენი უწყება უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს, — თქვა საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის პროფკავშირის ჯგუფური კომიტეტის თავმჯდომარემ ალბერტ კაციტაძემ. — თუ გასულ ხუთწლედში დარგში საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი იყო 640 ათასი მანეთი, ამ ხუთწლედში ეს თანხა უკვე 3,5 მილიონს შეადგენს.

დარგის მშრომელთა მუშაობა რთულია. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვან ყურადღებას ვუთმობთ მათი დასვენების საკითხს. ყოველწლიურად ქობულეთში ვაწყობთ პიონერულ ბანაკს ჩვენი თანამშრომლების ბავშვებისათვის, გასულ ხუთწლედში პროფკავშირული საგზურებით დაისვენა და ჯანმრთელობა გაიუმჯობესა თითქმის 1,5 ათასმა კაცმა. მაგრამ გვესმის, რომ ამ სფეროში ჯერ კიდევ ყველაფერი არ გაკეთებულა. ჩვენი ამოცანაა მივაღწიოთ იმას, რომ დასვენების საკუთარმა ინდუსტრიამ ზაფხულის შვებულებების პერიოდში შეძლოს საგზურებით სისტემის პრაქტიკულად ყველა მშრომელის უზრუნველყოფა. ამ მიზნით მიმდინარე ხუთწლედში განსაზღვრული გვაქვს 300-ადგილიანი პანსიონატის მშენებლობა სოხუმში, რომელიც გაისად დაიწყება. სახელმწიფო კომიტეტი წილობრივ მონაწილეობას იღებს გუდაურის სამთო-გამაჯანსაღებელი ბაზის მშენებლობაში.

ვაქციოთ სრულფასოვანი, საინტერესო დასვენება დიდნაყოფიერი შრომის მოკავშირედ — მომავალშიც ეს მიზანი გვექნება დასახული.

(საქინფორმი).

# მიმდევრები მომრავლდნენ

**საგარეჯოში** ჩატარდა საქართველოს რიგით მეორე პირად-გუნდური პირველობა გირების აწევაში. შარშან ერთმანეთს სპორტსაზოგადოებათა ნაკრებები შეეჯიბრნენ, წელს კი ქალაქებისა და რაიონების ნაკრებებმა იასპარეზეს. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ქალაქების: თბილისის, ქუთაისის და თელავის, წყალტუბოს, წითელწყაროს, მახარაძის, ცხაკაიას, ახმეტის რაიონების სპორტსმენები. ვიდრე გამარჯვებულებს და საპრიზო ადგილებზე გასულთ გაგაცნობდეთ, მინდა ხაზი გავუსვა ერთ გარემოებას: სპორტის ეს სახეობა სულ რამდენიმე წელია, რაც ჩვენს რესპუბლიკაში დაინერგა, მაგრამ უკვე ბევრი მიმდევარი ჰყავს, ამასთან საკმაოდ სწრაფადაც ვითარდება. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 80 კგ-მდე წონით კატეგორიაში შარშანდელი ჩემპიონი გია ესიტაშვილი წელს თავისი უკეთესი შედეგით მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა. თუმცა შეჯიბრებაზე ნაჩვენებ შედეგთა უმრავლესობა ძალზე დაბალია. მხოლოდ თელაველმა დავით ბექანიშვილმა და სოლომონ ჩეკურიშვილმა შეასრულეს პირველთანრიგოსნის ნორმატივი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნულ სახეობაში ჩვენი სპორტსმენები საკავშირო სარბიელზე სხვა რესპუბლიკის წარმომადგენლებს სერიოზულ კონკურენციას ჯერჯერობით ვერ გაუწევენ.

საგარეჯოში სრული გუნდით მხოლოდ თელავისა და წითელწყაროს რაიონები ჩამოვიდნენ. ამასთან, თელაველებმა ორი გუნდი გამოგზავნეს. პირველი ადგილი დაიკავა თელავის პირველმა ნაკრებმა, მეორე იყო წითელწყაროს ნაკრები. თელაველმა სპორტსმენებმა დავით ბექანიშვილმა (70 კგ), სოლომონ ჩეკურიშვილმა (80) და ვაჟა შუბითიძემ (90 კგ-მდე) პირველი ადგილები დაიკავეს. მათივე გუნდის წევრი სოლომონ მელიქიშვილი (60 კგ) მესამე იყო. წითელწყაროელთაგან თავი გამოიჩინა ს. პეტროსიანმა, რომელიც 60 კგ-მდე წონით კატეგორიაში იყო უძლიერესი. პირად პირველობაში 90 კგ-ის ზევით წონაში ჩემპიონი გახდა თელავის მეორე გუნდის წევრი გოჩა პაპუნაშვილი. ახლა საქართველოს ნაკრებში, რომელიც ჩემპიონატის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა, ძირითადად თელაველი სპორტსმენები არიან.

**ალექსანდრე პაპოშვილი.**

# ჩატარდა, მაგრამ...

**რესპუბლიკურ** სპარტაკიადას, რომლის დევიზია „მთელი ოჯახით სტარტზე“, წელს ჭიათურამ უმასპინძლა. უნდა ითქვას, რომ ღონისძიება ორგანიზებულად ჩატარდა, მაგრამ საფიქრალი ბევრი დაგვიტოვა. I ეტაპის **შეჯიბრებებს თავი აარიდეს: ბოგდანოვკის, ყაზბეგის, ადიგენის, მახარაძის რაიონებმა, თორმეტ რაიონს ამ სპარტაკიადის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ გამოუგზავნია საქართველოს სპორტსახკომში. ფინალურ შეჯიბრებებში, რომელიც მესამედ ჩატარდა, აფხაზეთის წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ. უნდა ითქვას, რომ ფინალურ ასპარეზობას მათ შარშანაც აარიდეს თავი, თბილისელები კი არასრული გუნდებით გამოვიდნენ.** ყოველივე ამის შესახებ საქართველოს სპორტსახკომი კოლეგიის სხდომაზე იმსჯელებს.

ახლა გაგაცნობთ სპარტაკიადის პრიზიორებს: პირველი სამი ადგილი შესაბამისად დაიკავეს ს. გალუგაშვილების (სამხრეთ ოსეთი), ი. გლადუშკოვებისა (თბილისი) და გ. ერმოლენკოების (ქუთაისი) ოჯახებმა.

სულ ამ შეჯიბრების ორივე ეტაპზე 1216 ოჯახი გამოვიდა.

**იროდი ბეზაშვილი,**
**საქართველოს სპორტსახკომის მასობრივი ფიზკულტურისა და მშდ კომპლექსის განყოფილების უფროსი.**

# ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

## ვანი

**ბავშვთა** და მოზარდთა კომპლექსურმა სპორტსკოლამ და ტურისტულმა კლუბმა „დედატოსმა“ მოაწყვეს ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: ვანი — ზედა ვანი — კატრები — ვანი. ღონისძიების მონაწილე რაიონის ყველა საშუალო და რვაწლიანი სკოლის 300 მოსწავლე ერთმანეთს შეეჯიბრა კარვის გაშლაში, დაბრკოლებათა გადალახვაში და ტურისტული მრავალჭიდის სხვა სახეობებში.

საშუალო სკოლებს შორის I ადგილი დაიკავა ამაღლების რუსთაველის სახელობის სკოლის გუნდმა. რვაწლიანი სკოლების შეჯიბრებაში უძლიერესი იყო ზედაგორელთა გუნდი.

**იორამ ნიკოლეიშვილი.**
„ლელოს“ კორ.

სამტრედია.

## თელავი

**აქ** ჩატარდა მასობრივი სპორტული ღონისძიებები. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია უბნის გუნდების საქალაქო პირველობამ მინიფეხბურთში, სადაც გაიმარჯვა „ძველმა გალავანმა“.

სოფლების საფეხბურთო მინდვრებზე გაიმართა კალენდარული შეხვედრები რაიონის პირველობის პროგრამით. მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები გირების აწევასა და ქართულ ჭიდაობაში.

დასვენების დღეებში ასეთი ღონისძიებების ორგანიზებულად ჩატარებაში აქტიურად გვეხმარება თელავის მეშვიდე სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი ჯ. ძამუკაშვილი, ბავშვთა სასპორტო სკოლის მწვრთნელ-მასწავლებლები გ. ფოთოლაშვილი, ჯ. ლეგაშვილი და სხვები.

**ჯაალ მაისურაძე,**
**თელავის ფიზიკური კულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.**

## ორჯონიკიძე

906 კაცი მონაწილეობდა მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში, რომელიც ამ დღეებში გაიმართა რაიონულ ცენტრში. ჩატარდა აგრეთვე შეჯიბრებები სპორტის ცალკეულ სახეობებში.

ეს ღონისძიებები მიეძღვნა ს. ორჯონიკიძის დაბადების 100 წლისთავს.

**ანზორ მაღრაძე,**
**ორჯონიკიძის რაიონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.**

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

**22 ოქტომბერს ევროპის საფეხბურთო სტადიონებზე გაიმართა კონტინენტის საკლუბო ტურნირების II წრის პირველი მატჩები. 3 საბჭოთა კლუბი მონაწილეობდა სამივე ტურნირში — ჩემპიონთა თასზეც, თასების მფლობელთა თასზეც და უეფა-ს თასზეც.**

**შესანიშნავად** ითამაშეს კიევის „დინამოს" ფეხბურთელებმა **ჩემპიონთა თასზე.** გლაზგოს „პარკჰედის" სტადიონზე ისინი ადგილობრივ „სელტიკს" შეხვდნენ და ქულა აიღეს (1:1) მეტად ძლიერ მეტოქესთან შეხვედრაში. ამ მატჩში დაწინაურდნენ კიეველები (ბურთი მე-17 წუთზე გაიტანა ევტუშენკომ), შოტლანდიელებმა კი მხოლოდ 78-ე წუთზე შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა (ჯონსტონი).

ამ მატჩში გააფრთხილეს დინამოელი ფეხბურთელები კუზნეცოვი და იაკოვენკო.

**თასების მფლობელთა თასზე** მოსკოვის „ტორპედომ" შინ მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „შტუტგარტი". ტორპედოელებმა მთელი შესაძლებლობით იბრძოლეს და გამარჯვებასაც მიაღწიეს — 2:0 (გოლები გაიტანეს ძმებმა ნ. და ი. სავიჩევებმა). გააფრთხილეს ტორპედოელი კობზევი.

**უეფა-ს თასზე** მარცხი განიცადეს მოსკოვის სპარტაკელებმა (1:3), რომლებიც საფრანგეთის ქალაქ ტულუზაში შეხვდნენ ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდს. მოსკოველთაგან ერთადერთი ბურთი გაიტანა როდიონოვმა, „ტულუზის" მხრივ კი თავი გამოიჩინა თავდამსხმელმა პასიმ, რომელმაც სამჯერ აიღო სტუმრების კარი. გააფრთხილეს სპარტაკელი ფეხბურთელები კუზნეცოვი და ბოგაჩოვი.

საპასუხო მატჩების წინ, რომლებიც 5 ნოემბერს გაიმართება, კარგი პერსპექტივები აქვთ კიევის „დინამოს" და მოსკოვის „ტორპედოს". გლაზგოში ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ, უნდა ვიფიქროთ, რომ კიევის „დინამო" ასევე ძლიერად, მაღალ სპორტულ დონეზე ითამაშებს საკუთარ მინდორზე მეოთხედფინალის საგზურის გასანაღდებლად. ასეთივე შესაძლებლობა აქვს მოსკოვის „ტორპედოს", რომელიც 2 გოლით უსწრებს „შტუტგარტს", თუმცა, საპასუხო მატჩში ჩვენს გუნდს, უდავოა, ძალების სრული მობილიზება მართებს.

ძნელი ამოცანის წინაშე დგას მოსკოვის „სპარტაკი". დამარცხება ანგარიშით 1:3 ნიშნავს, რომ „სპარტაკმა" შინ უნდა გაიმარჯვოს უკეთესი სხვაობით, რომ უეფა-ს თასის მერვედფინალში თამაშის უფლება მოიპოვოს.

გთავაზობთ ევროპის სამივე საკლუბო ტურნირში 22 ოქტომბრის მატჩების შედეგებს.

**ჩემპიონთა თასი, მერვედფინალი, I ტური**

**„სელტიკი" (გლაზგო, შოტლანდია) — „დინამო" (კიევი, სსრ კავშირი) 1:1.**
„რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) — „იუვენტუსი" (იტალია) 1:0
„ვიტკოვიცე" (ჩეხოსლოვაკია) — „პორტო" (პორტუგალია) 1:0
„რუსენბორგი" (ნორვეგია) — „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) 0:3
„ბაიერნი" (გფრ) — „აუსტრია" (ავსტრია) 2:0
„ანდერლეხტი" (ბელგია) — „სტიაუა" (რუმინეთი) 3:0
„ბრონდბიუ" (დანია) — „დინამო" (ბერლინი, გდრ) 2:1

**თასების თასი, მერვედფინალი, I ტური**

**„ტორპედო" (მოსკოვი, სსრ კავშირი) — „შტუტგარტი" (გფრ) 2:0**
გკს (პოლონეთი) — „სიონი" (შვეიცარია) 2:2
„სარაგოსა" (ესპანეთი) — „რექსჰემი" (უელსი) 0:0
„ვიტოშა" (ბულგარეთი) — „ველეჟი" (იუგოსლავია) 2:0
„ბენფიკა" (პორტუგალია) — „ბორდო" (საფრანგეთი) 1:1
„17 ნენტორი" (ალბანეთი) — „მალმე" (შვეცია) 0:3
„რაპიდი" (ავსტრია) — „ლოკომოტივი" (გდრ) 1:1
„აიაქსი" (ჰოლანდია) — „ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი) 4:0

**უეფა-ს თასი, მეთექვსმეტედფინალი, I ტური**

**„ტულუზა" (საფრანგეთი) — „სპარტაკი" (მოსკოვი, სსრ კავშირი) 3:1**
„გრონინგენი" (ჰოლანდია) — „ქსამაქსი" (შვეიცარია) 0:0
„ბევერენი" (ბელგია) — „ატლეტიკი" (ბილბაო, ესპანეთი) 3:1
„ვიძევი" (პოლონეთი) — „ბაიერი" (იურდინგენი, გფრ) 0:0
„ლეგია" (პოლონეთი) — „ინტერი" (იტალია) 3:2
„გიმარაეში" (პორტუგალია) — „ატლეტიკო" (მადრიდი, ესპანეთი) 2:0
„ბორუსია" (მიონჰენგლადბახი, გფრ) — „ფეიენოორდი" (ჰოლანდია) 5:1
„სპორტული" (რუმინეთი) — „გენტი" (ბელგია) 0:3
„ტორინო" (იტალია) — „რაბა ეტო" (უნგრეთი) 4:0
„დუკლა" (ჩეხოსლოვაკია) — „ბაიერი" (ლევერკუზენი, გფრ) 0:0
„ჰაიდუკი" (იუგოსლავია) — „თრაკია" (ბულგარეთი) 3:1
„ბარსელონა" (ესპანეთი) — „სპორტინგი" (პორტუგალია) 1:0
„სვაროვსკი-ვაკერი" (ავსტრია) — „სტანდარდი" (ბელგია) 2:1
„გეტებორგი" (შვეცია) — „შტალი" (გდრ) 2:0
„დანდი იუნაიტედი" (შოტლანდია) — „უნივერსიტატია" (რუმინეთი) 3:0
პირველი ტურის საპასუხო შეხვედრები გაიმართება 5 ნოემბერს.

## I ლიგა

**23 ოქტომბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 43-ე ტურის მატჩები.**

**„გურია" (ლანჩხუთი) — „ატლანტასი" (კლაიპედა) 6:1 (2:0)**

ლანჩხუთი. „გურიის" სტადიონი. 23 ოქტომბერი.

„გურია": გ. იმნაძე, კონდრატიევი, დანელია, ე. თევზაძე (ტყებუჩავა), მელიქია, ებანოიძე, კოპალეიშვილი, მ. თევზაძე, ჩხაიძე (შვეცოვი), ფრიდონაშვილი, აკოფიანი (დ. იმნაძე).

„ატლანტასი": ბრაუნისი (ლუკაშინი), სინიაკოვასი, მაუეიკა, ჩერნაუსკასი, გრიგარავიჩუსი (ტუმანისი), დაუგელა, სკიარსისი, ბუტკიავიჩუსი, ბელოუსი, ბაგდონასი, კორსაკოვასი.

მსაჯი მ. კუსენი (ლვოვი).

კლაიპედის „ატლანტასმა" წლეულს სუსტად ჩაატარა I ლიგის საკავშირო გათამაშება და არსებითად უკვე გამოეთხოვა მას. მიუხედავად ამისა, ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა აუტსაიდერთან მთელი მონდომებით, ენერგიულად ითამაშეს და დასაწყისშივე რამდენიმე მეტად საშიში მომენტი შექმნეს მეტოქის კართან. ჯერ კიდევ მე-7 წუთი მიმდინარეობდა, როცა კონდრატიევმა სწრაფი რეიდი განახორციელა, მიაწოდა ჩხაიძეს და ამ უკანასკნელმა ზუსტად გაგზავნა ბურთი მიზანში — 1:0. შუა ტაიმში ჩხაიძემ დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერად დაარტყა, ბრაუნისმა მოიგერია ბურთი, მაგრამ მას ყველაზე სწრაფად მიუსწრო ფრიდონაშვილმა — 2:0.

მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობა კიდევ უფრო ცხადი გახდა შესვენების შემდეგ, 50-ე წუთზე ფრიდონაშვილმა თავისი ინდივიდუალური რეიდი მესამე გოლით დაამთავრა, ათიოდე წუთის შემდეგ კი შვეცოვმა კარგად გამოიყენა კოპალეიშვილის გადაცემა და ოთხამდე აიყვანა ანგარიში.

შემდგომში მ. თევზაძემ და აკოფიანმა კიდევ ორჯერ აიღეს „ატლანტასის" კარი და მხოლოდ 88-ე წუთზე შეძლო სკიარსისმა ერთი საპასუხო ბურთის გატანა.

**ავთანდილ ორმოცაძე.**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

**განვლილ** ტურში „გურიამ" თავის მინდორზე დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია, მაგრამ ამავე დღეს ცსკა-მ შინ დაძაბული ბრძოლის შემდეგ დაამარცხა „ყუბანი" — 1:0, ხოლო დუშანბეს „პამირმა" კიშინიოვში მოუგო ლიგის აუტსაიდერს, „ნისტრუს" — 2:0.

გათამაშების ლიდერმა რიგის „დაუგავამ" ორჯონიკიძეში მარცხი იწვნია ადგილობრივ „სპარტაკთან" შეხვედრაში — 0:1, ვოლგოგრადის „როტორმა" კი თავის მინდორზე ქულა აიღო დონის როსტოვის არმიელებთან შეხვედრაში — 0:0.

ბათუმის დინამოელებმა ზაპოროჟიეში წააგეს „მეტალურგთან" — 1:3.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „კუზბასი" (კემეროვო) — „ისკრა" (სმოლენსკი) 0:1, ასკ (ხაბაროვსკი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 2:1, ასკ „კარპატი" (ლვოვი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 4:2, „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 3:2, „დინამო" (სტავროპოლი) — „ფაკელი" (ვორონეჟი) 1:1, „კოლოსი" (ნიკოპოლი) — „კოტაიკი" (აბოვიანი) 2:0.

**მომდევნო, 44-ე ტურში, 26 ოქტომბერს, ლანჩხუთში შედგება ლიგის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი: ადგილობრივი „გურია" შეხვდება რიგის „დაუგავას". ბათუმის დინამოელები ამ დღეს ნიკოპოლში ითამაშებენ „კოლოსთან".**

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 25 ოქტომბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დაუგავა" | 41 | 22 | 12 | 7 | 72-40 | 56 |
| „გურია" | 41 | 24 | 5 | 12 | 73-61 | 53 |
| ცსკა | 41 | 22 | 9 | 10 | 55-33 | 53 |
| „პამირი" | 41 | 20 | 10 | 11 | 68-40 | 50 |
| „როტორი" | 41 | 21 | 6 | 14 | 67-50 | 48 |
| ასკ „კარ." | 41 | 19 | 10 | 12 | 62-47 | 48 |
| „ლოკომოტ." | 41 | 18 | 11 | 12 | 57-43 | 47 |
| „როსტს." | 41 | 18 | 10 | 13 | 75-61 | 46 |
| „დინამო" ბ. | 41 | 18 | 8 | 15 | 43-51 | 44 |
| „კოლოსი" | 41 | 16 | 11 | 14 | 41-43 | 43 |
| „ფაკელი" | 41 | 17 | 8 | 16 | 48-41 | 42 |
| ასკ რ. | 41 | 15 | 11 | 15 | 52-43 | 41 |
| „მეტალურ." | 41 | 16 | 8 | 17 | 54-49 | 40 |
| „შინიკი" | 41 | 14 | 14 | 13 | 36-33 | 40 |
| „სპარტაკი" | 41 | 14 | 12 | 15 | 55-55 | 40 |
| „კუზბასი" | 41 | 13 | 12 | 16 | 50-56 | 38 |
| „ფახთაქ." | 41 | 14 | 8 | 19 | 51-63 | 36 |
| „დინ." სტ. | 41 | 11 | 15 | 15 | 54-51 | 34 |
| „ყუბანი" | 41 | 11 | 13 | 17 | 34-44 | 34 |
| „კოტაიკი" | 41 | 11 | 12 | 18 | 37-48 | 34 |
| „ისკრა" | 41 | 11 | 12 | 18 | 27-50 | 34 |
| ასკ ხ. | 41 | 11 | 11 | 19 | 45-56 | 33 |
| „ატლანტ." | 41 | 8 | 10 | 23 | 36-68 | 26 |
| „ნისტრუ" | 41 | 5 | 8 | 28 | 26-92 | 18 |

# დავით გობეჯიშვილი — ვერცხლის პრიზიორი

დასასრული

ჩემპიონი დავით გობეჯიშვილი და ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაში გამარჯვებული ამერიკელი ბრიუს ბაუმგარტნერი ითვლებოდნენ. მანამდე მათ შორის შეხვედრის ანგარიში 2:2 იყო.

მეხუთე ორთაბრძოლის პირველი ნახევარი დაახლოებით თანაბარი გამოდგა, თუმცა არბიტრმა, ჩვენის აზრით, ზედმეტი სიმკაცრე გამოიჩინა გობეჯიშვილის მიმართ (ქულა — პასიურობისათვის), ბაუმგარტნერი კი ანალოგიურ სიტუაციაში არ დაუსჯია. შეხვედრის მეორე ნახევარში ქართველი მოჭიდავე გაუმართლებელ რისკზე წავიდა, ნაჩქარევად წამოიწყო შეტევა და მეტოქეს კონტრილეთის ჩატარების საშუალება მისცა. ბრძოლის ბედი სწორედ ამ მომენტში გადაწყდა, ვინაიდან დრო უკვე ცოტა იყო დარჩენილი.

ფინალური შეხვედრების დღეს მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი ტაშკენტის უნივერსიტეტის სტუდენტმა 21 წლის მახარბეკ ხადარცევმა მოიპოვა. მან აშკარა უპირატესობით დაამარცხა ტორსტენ ვაგნერი (გდრ).

მეორე უმაღლესი ჯილდო ამ დღეს მოსკოველ ხაზარ ისაევს ერგო. დაძაბულ ბრძოლაში მან ამერიკელ ჯო მაკფერლენდს აჯობა.

ვერცხლის მედალი მიიღო ადლან ვარაევმა, რომელიც პირველი პერიოდის შემდეგ კუბელ რაულ კასკარეტს აშკარად უგებდა ბრძოლას. მაგრამ კასკარეტი შესვენების შემდეგ შესამჩნევად გააქტიურდა და ბოლოს სასურველ მიზანს მიაღწია. იგი მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

52 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონობა კიმ იონგ სინმა (კსდრ) მოიპოვა, რომელმაც ფინალში იაპონელი მიცურო სატო დაამარცხა. ამ წონაში ჩვენი მოჭიდავე ორჯონიკიძელი ვლადიმერ თოგუზოვი მეექვსე იყო.

გთავაზობთ მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორთა სიას გუნდურ და პირად ჩათვლაში:

**გუნდური ადგილები.** 1. სსრ კავშირი, 2. აშშ, 3. ბულგარეთი, 4. უნგრეთი, 5. გდრ, 6. კუბა.

**48 კგ.** 1. ლი ზე სიკი (კსდრ), 2. ლ. ვირო (უნგრეთი), 3. მ. კუშნირი (სსრ კავშირი).

**52 კგ.** 1. კიმ იონგ სინი (კსდრ), 2. მ. სატო (იაპონია), 3. ვ. იორდანოვი (ბულგარეთი).

**57 კგ.** 1. ს. ბელოგლაზოვი (სსრ კავშირი), 2. გ. კალჩევი (ბულგარეთი), 3. ბ. დევისი (აშშ).

**62 კგ.** 1. ხ. ისაევი (სსრ კავშირი), 2. ჯ. მაკფერლენდი (აშშ), 3. ა. ენკე (მონღოლეთი).

**68 კგ.** 1. ა. ფაძაევი (სსრ კავშირი), 2. ა. მეტცგერი (აშშ), 3. ს. შტერევი (ბულგარეთი).

**74 კგ.** 1. რ. კასკარეტი (კუბა), 2. ა. ვარაევი (სსრ კავშირი), 3. დ. შულცი (აშშ).

**82 კგ.** 1. ვ. მოდოსიანი (სსრ კავშირი), 2. ა. ნანევი (ბულგარეთი), 3. ი. ლოგინია (ჩეხოსლოვაკია).

**90 კგ.** 1. მ. ხადარცევი (სსრ კავშირი), 2. ტ. ვაგნერი (გდრ), 3. დ. შერი (აშშ).

**100 კგ.** 1. ა. ხადარცევი (სსრ კავშირი), 2. ბ. შერი (აშშ), 3. გ. იანჩევი (ბულგარეთი).

**130 კგ.** 1. ბ. ბაუმგარტნერი (აშშ), 2. დ. გობეჯიშვილი (სსრ კავშირი), 3. ა. შრიოდერი (გდრ).

# ჯერი „კლასიკოსებზე" მიდგა

**ბუდაპეშტი.** აქაურ სპორტის სასახლეში თავისუფალი სტილის მოჭიდავეები „კლასიკოსებმა" შეცვალეს. დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ნახევარი.

„კლასიკოსთა" ტურნირში ბევრი სახელმოხვეჭილი სპორტსმენი გამოდის — ბაქოელი მსოფლიო ჩემპიონი მ. ალახვერდიევი (48 კგ), ევროპის ჩემპიონები ომსკელი დ. კალიმულინი (57 კგ) და ლენინგრადელი ლ. ჯულფალაკიანი (68 კგ), მსოფლიო პირველობის პრიზიორი მინსკელი ა. ფედორენკო (100 კგ). ამ ოთხეულმა პირველი დღის ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო.

დამარცხდა მხოლოდ საბჭოთა ნაკრების დებიუტანტი შახტელი ს. ნასევიჩი (82 კგ). ორი გამარჯვების შემდეგ მას ევროპის ჩემპიონმა უნგრელმა ტ. კომარომიმ აჯობა.

პირველ ხუთ წონაში ჩემპიონები დღეს გამოვლინდებიან.

# ოთხი ჩემპიონი

**10-12 ოქტომბერს** ქ. ნალჩიკში ჩატარდა ჭაბუკთა საკავშირო ტურნირი ძიუდოში სოციალისტური შრომის გმირის მ. ხ. ახმეტოვის ხსოვნის თასზე. შეჯიბრებაში ნალჩიკის, ჩრდილოეთ ოსეთის, მაიკოპის, გორკის, ჯამბულის, დნეპროპეტროვსკის, ასტრახანის, სარატოვის და სხვა ქალაქების გუნდებთან ერთად მიწვეული იყო ახმეტის გუნდიც.

პირად ჩათვლაში ახმეტელებმა ოთხი პირველი, შვიდი მეორე და ერთი მესამე ადგილი დაიკავეს. ჩემპიონები გახდნენ: ზ. სამუკაშვილი (57 კგ), გ. ლოლაძე (68), ვ. ომარაშვილი (75), აბსოლუტურში — გ. ლოლაძე. მეორე ადგილებზე გავიდნენ: მ. აბრამიშვილი (49 კგ), მ. გაგუნაშვილი (53), კ. ოტიაშვილი (57), ზ. კოტორაშვილი (68), ზ. მაისურაძე (75), რ. უძილაური (83) და გ. გახუტიშვილი (აბსოლუტური).

მძიმე წონაში მესამე ადგილი დაიკავა გ. გახუტიშვილმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში მასპინძლებმა გამოიჩინეს თავი და თასიც მათ დაიტოვეს. მეორე ადგილზე ახმეტელები გავიდნენ.

გუნდი შეჯიბრებისათვის მოამზადეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელებმა გ. აბრამიშვილმა და ტ. შათირიშვილმა.

## დღეს საქართველოს ტელევიზიით

18 საათსა და 50 წუთზე საქართველოს ტელევიზია პირველი პროგრამით გთავაზობთ გადაცემას „სპორტული პროგრამა—45 წუთი". თქვენ კვლავ გექნებათ შესაძლებლობა განმეორებით იხილოთ ფრაგმენტები 27 ივლისს გამართული ამერიკისა და დანარჩენი მსოფლიოს ფეხბურთელთა ისტორიული შეხვედრიდან.

ამ მატჩის მთლიანი შემოსავალი, როგორც ცნობილია, გადაეცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდს — იუნისეფს.

მაშ ასე, დღეს 18 საათსა და 50 წუთზე გიწვევთ ტელეეკრანებთან!

# საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები, გთავაზობთ მათს სტატისტიკურ მონაცემებს.

**I ლიგა**

**I-XIII ადგილები**

**„სულორი" (ვანი) — „კახეთი" (თელავი) 2:0. მსაჯი დ. ნინუა (თბილისი).** გოლები: ორმოცაძე, გ. ვერულაშვილი („სულორი").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ვანელი ფეხბურთელი დ. ორმოცაძე.

**„ივერია" (ხაშური) — „შადრევანი" (წყალტუბო) 0:1. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).** გოლი: გოგელიძე („შადრევანი").

**„მადნეული" (ბოლნისი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 3:0. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი).** გოლები: ყიფშიძე, ბ. უგულავა-2 („მადნეული").

ერთმანეთთან კამათისთვის გააფრთხილეს „მადნეულის" ფეხბურთელები მ. მანაგაძე და ბ. უგულავა, აგრეთვე, ჩხოროწყუელი მ. კვირკველია.

**„შევარდენი"-სპი (თბილისი) — „დინამო" (ზუგდიდი) 1:0. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი).** გოლი: ქობელაშვილი („შევარდენი").

განზრახ ხელით თამაშისთვის გააფრთხილეს ზუგდიდელი ფეხბურთელები ბ. ხვიტია და მ. ქომეთიანი.

**„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 3:2. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).** გოლები: კიკნაძე, მშვენიერაძე-2 („მეტალურგი"), შონია, ქავთარაძე („ეგრისი").

**XIII-XXIII ადგილები**

**„საპოვნელა" (თერჯოლა) — „დურუჯი" (ყვარელი) 1:0. მსაჯი თ. კურტანიძე (თბილისი).** გოლი: ლოსაბერიძე („საპოვნელა").

**„დინამო" (გაგრა) — „იმედი" (თბილისი) 3:1. მსაჯი ს. შალამბერიძე (თბილისი).** გოლები: სემიონოვი, კვარაცხელია, რაჟანიანი („დინამო"), ლომიძე („იმედი").

**„სალხინო" (გეგეჭკორი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 4:1. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).** გოლები: მურვანიძე, გოგოძე, ჭუბაბრია-2 („სალხინო"), ხურცილავა (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

**„სპარტაკი" (ცხინვალი) — „მერცხალი" (მახარაძე) 2:1. მსაჯი ნ. კილაძე (თბილისი).** გოლები: კობალაძე-2 („სპარტაკი"), ელენტი („მერცხალი").

იხ. მე-4 გვ.

## საქართველოს პირველობა

დასასრული

„ქართლი" (გორის რ-ნი) — „სქური" (წალენჯიხა) 0:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გააფრთხილეს წალენჯიხელი ფეხბურთელი მ. ხუბულია.

**II ლიგა**

**აღმოსავლეთი ზონა.** „სიონი" (დმანისი) — „განთიადი" (კასპი) 0:1, „გარისი" (თეთრი წყარო) — „შირაქი" (წითელი წყარო) 6:0, „სამგორი" (გარდაბანი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 3:1, „გარეჯი" (საგარეჯო) — „არაგვი" (დუშეთი) 4:3, „თრიალეთი" (წალკა) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 1:3, „კოლმეურნე" (მარნეული) — „ალაზანი" (გურჯაანი) 1:1, „მშენებელი" (რუსთავი) — „ალგეთი" (მარნეული) 3:1.

**ცენტრალური ზონა.** „მესხეთი" (ახალციხე) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 1:2, „იბერია" (ქარელის რ-ნი) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 0:1, „კოლმეურნე" (ტყიბული) — „იმერეთი" (წულუკიძე) 3:1, „თორი" (ბორჯომი) — „ჩიხურა" (საჩხერე) 2:1, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „ვარძია" (ასპინძა) 1:2, „ვარძია" (ასპინძა) — „ზარზმა" (ადიგენი) 3:0.

**დასავლეთი ზონა.** „ოდიში" (ზუგდიდის რ-ნი) — „დინამო"-2 (ბათუმი) 2:1, „ზანა" (აბაშა) — „კოლმეურნე" (გაგრა) 1:0, „მეშახტე" (ტყვარჩელი) — „მზიური" (გალი) 3:4, „სუბტროპიკი" (სოხუმი) — „კოლხეთი" (ხობი) 0:2, „კოლხეთმშენი" (ფოთი) — „ნარინჯი" (ქობულეთი) 2:1, „ნარინჯი" (გონიო) — „ჩიბათი" (ლანჩხუთი) 2:2.

**გათამაშების ცხრილები**

**I ლიგა**

**I-XII ადგილები**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შევარ."-სპი | 16 | 10 | 3 | 3 | 36-18 | 23 |
| „სამეგრ." | 16 | 9 | 4 | 3 | 24-14 | 22 |
| „შადრევ." | 16 | 10 | 1 | 5 | 30-20 | 21 |
| „მეტალ." | 16 | 9 | 2 | 5 | 30-26 | 20 |
| „სულორი" | 16 | 8 | 1 | 7 | 32-24 | 17 |
| „დინამო" ზ. | 16 | 7 | 2 | 7 | 34-23 | 16 |
| „კახეთი" | 16 | 6 | 2 | 8 | 23-28 | 14 |
| „მადნეული" | 16 | 5 | 4 | 7 | 33-32 | 14 |
| „არმაზი" | 16 | 5 | 4 | 7 | 29-33 | 14 |
| „ეგრისი" | 16 | 5 | 3 | 8 | 19-37 | 13 |
| „ამირანი" | 16 | 4 | 2 | 10 | 15-33 | 10 |
| „ივერია" | 16 | 3 | 2 | 10 | 12-29 | 8 |

**XIII-XXIII ადგილები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მერცხალი" | 15 | 8 | 4 | 3 | 20-9 | 20 |
| „დინამო" გ. | 15 | 8 | 2 | 5 | 26-18 | 18 |
| „საპოვნელა" | 15 | 7 | 2 | 6 | 21-20 | 16 |
| „სპარტაკი" | 14 | 7 | 2 | 5 | 23-23 | 16 |
| „დურუჯი" | 14 | 5 | 5 | 4 | 17-16 | 15 |
| „სალხინო" | 15 | 6 | 4 | 5 | 20-16 | 14 |
| ფიზკ. ინსტ. | 14 | 5 | 4 | 5 | 16-17 | 14 |
| „იმერეთი" | 15 | 4 | 4 | 7 | 15-18 | 12 |
| „სქური" | 15 | 4 | 4 | 7 | 18-29 | 12 |
| „იმედი" | 14 | 2 | 7 | 5 | 10-15 | 11 |
| „ქართლი" | 14 | 3 | 4 | 7 | 6-11 | 10 |

## ვინ არის იგი, კამპომანესის მეტოქე

— გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩ-რევანშს მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის დაძაბული ადევნებდა თვალს ამ თამაშის მილიონობით მოყვარული — თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტმა (სამხრეთ ამერიკის ზონაში), ბრაზილიელმა პროფესორმა ლინკოლნ ლუსენამ. — თუ ლონდონში იგრძნობოდა, რომ მეტოქეები ფრთხილობდნენ, ლენინგრადში ამ ჭეშმარიტად მამაცმა მებრძოლებმა ფიცხელი ბრძოლა გააჩაღეს.

სასიამოვნოა, რომ მატჩი ბრწყინვალედ იყო ორგანიზებული, განსაკუთრებით ლენინგრადში. მე პირველად არა ვარ თქვენს ქვეყანაში, 1984 წელს ამ მეტოქეთა პირველ მატჩსაც დავესწარი და უნდა ვთქვა, რომ ის ბრძოლებიც უმაღლეს დონეზე ჩატარდა.

ბრაზილიის დედაქალაქის უნივერსიტეტის 38 წლის პროფესორი არც ისე დიდი ხანია, რაც საჭადრაკო შეჯიბრებებში აღარ მონაწილეობს. ლუსენა თავისი ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონი, დიდი საერთაშორისო ტურნირის ორგანიზატორი და მონაწილე გახლავთ. გარდა ამისა, ბრაზილიაში მას იცნობენ როგორც ჭადრაკის მიმომხილველს. ლუსენა ეროვნული ოსტატი და საერთაშორისო არბიტრია.

შარშან, დეკემბერში ლინკოლნ ლუსენამ თავისი კანდიდატურა წამოაყენა ფიდე-ს პრეზიდენტის პოსტზე და ახლანდელი პრეზიდენტის ფლორენსიო კამპომანესის კონკურენტი გახდა. ალბათ იცით, კამპომანესს სურს კვლავ დარჩეს ამ თანამდებობაზე.

— პირველი, რაც აუცილებლად მოითხოვს შეცვლას, ეს გახლავთ მსოფლიო ჩემპიონის შესარჩევი ორწლიანი ციკლი. იგი უნდა გაიზარდოს სამ წლამდე. ადვილი მისახვედრია, რა კოლოსალურ ენერგიას ხარჯავენ ამ შეჯიბრებაში ჩემპიონი და პრეტენდენტი.

ასეთი სერიოზული პრობლემა სხვაგვარ გადაჭრას მოითხოვს, მაგრამ, ჩემი აზრით, შესაძლებელია პრეტენდენტი ტურნირებში გამოვლინდეს — სამ-ოთხ ასეთ ტურნირში, რომელშიც მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეები მიიღებენ მონაწილეობას.

— რაც შეეხება ფიდე-ს სტრუქტურას, აუცილებლად შევქმნიდი კომისიას ჭადრაკის ესთეტიკაში, — ამბობს იგი. — ვითომ ცუდი იქნებოდა, დიდი ტურნირი რომ მოგვეწყო ჩვენი ძველი მოჭადრაკეების მონაწილეობით?

ბოტვინიკი, ნაიდორფი, რეშევსკი... რა თქმა უნდა, მათ ამჟამად მოქმედი სატურნირო რეჟიმი არ გამოადგებათ, მაგრამ ხომ შეიძლება მისი შეცვლა. სამაგიეროდ, ახლაც რა სილამაზე ახლავს მათ თამაშს!

— ჭადრაკი, ჩემის აზრით, ერთადერთი თამაშია, რომელიც ხალხის სულს ავლენს, — განაგრძობს ლ. ლუსენა. — ფეხბურთიც კი ყველა ქვეყანაში როდია პოპულარული, ჭადრაკს კი ყველგან თამაშობენ. რა კარგი იქნებოდა, მთელი პლანეტის ხალხებს საშუალება ჰქონოდათ, საკუთარი ტელევიზორების ეკრანზე ედევნებინათ თვალი კასპაროვ — კარპოვის მატჩ-რევანშისთვის. ელექტრონიკა უნდა დაგვეხმაროს ჭადრაკის შემდგომი პოპულარიზაციის საქმეში.

● **როგორ გგონიათ, გაიმარჯვებთ არჩევნებში?**

— როცა გასული წლის დეკემბერში ჩემი კანდიდატურა წამოვაყენე ფიდე-ს პრეზიდენტის პოსტზე, ბევრი თვლიდა, რომ მე არა მაქვს გამარჯვების შანსი. ახლა სკეპტიკოსებმა აზრი შეიცვალეს.

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 19 ოქტომბრის გამარჯვებული „სპორტლოტოს" მორიგი 42-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45"-იდან:** გაიყიდა 792 549 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (34 ბარათი) მოგება 2252 მანეთია, ოთხისთვის (1648) — 43, სამისთვის (30105) — 3.

**„სპორტლოტო 5 36"-იდან:** გაიყიდა 6 349 997 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (26 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (4996) — 143, სამისთვის (154322) — 6.

42-ე ტირაჟებისა და ათტირაჟიანი ბარათების (33-დან 42-ის ჩათვლით) განაღდება მოხდება 3 ნოემბრიდან 3 დეკემბრის ჩათვლით.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** 25 ოქტომბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (2)**; სპორტული გადაცემა ჩეხოსლოვაკიიდან — **15.25 (2)**; სპორტი და პიროვნება: ე. პეტუშკოვა — **16.35 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში (გადაცემა ბუდაპეშტიდან) — **0.10 (1)**.

**საქართველოს ტელევიზია.** 25 ოქტომბერი. სპორტული პროგრამა. 45 წუთი (განმეორებით) — **18.50**.

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

## კალათბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

## მატჩები გადატანილია

**როგორც** ვიუწყებოდით, 22-24 ოქტომბერს დონეცკში, ალმა-ათასა და რიგაში უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მესამე ტური უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებს ამ პერიოდში საზღვარგარეთული ტურნირი ჰქონდა დაგეგმილი, აღნიშნული კალენდარული შეხვედრები გადაიდო.

გუშინ მოსკოვიდან გვაცნობეს, რომ III ტურის მატჩები იმავე ქალაქებში მოგვიანებით გაიმართება, კალენდარი კი ჩვეულებრივად გაგრძელდება.

## მწვრთნელს კი იმედი აქვს

კანადის ჰოკეისტთა ეროვნული გუნდი გულმოდგინედ ემზადება კალგარის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის. ამ მიზნით ამას წინათ იგი ევროპას ეწვია და გფრ-ის კლუბებთან რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა გამართა. კანადელებმა „მანჰეიმი" ანგარიშით 3:2 დაამარცხეს. ასეთივე შედეგით დაამთავრეს შეხვედრა „იზერლონთან", „დიუსელდორფს" კი უფრო დიდი სხვაობით (7:2) მოუგეს. კანადის პრესა ამ შედეგით, ცხადია, უკმაყოფილოა, მაგრამ ნაკრების მწვრთნელი დევი კინგი იმედს არ ჰკარგავს. მან თქვა: „ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ 1988 წელს ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედლები მოვიპოვოთ".



## იხსნება ჯანმრთელობის ახალი ზონა

25 ოქტომბერს, 14.00 საათზე, თბილისის სპორტის სასახლის ტერიტორიაზე იხსნება ჯანმრთელობის ზონა. აქ იქნება ფრენბურთის და ბადმინტონის მოედნები, ჩოგბურთის კორტი, 200-მეტრიანი სარბენი ბილიკი, ტრენაჟორები და ათლეტური ტანვარჯიშისათვის საჭირო სხვა იარაღები.

ჯანმრთელობის ჯგუფებში მეცადინეობის მსურველთ გამოცდილი სპეციალისტები მოემსახურებიან.

## ძვირფასო ამხანაგებო!

**ვთხოვთ** ყველა ზესტაფონელ სპორტსმენს, რომლებიც იყვნენ და არიან საქართველოს, საბჭოთა კავშირის, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები ან პრიზიორები, მწვრთნელები ან ხელმძღვანელი მუშაკები, მინიჭებული აქვთ სპორტის ოსტატის, საქართველოს, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება, აღუზრდიათ მაღალი კლასის სპორტსმენები, თავი მოუყარონ მათ მიერ მოპოვებულ სიგელებს, დიპლომებს, მედლებსა და სხვადასხვა პრიზებს, სპორტულ ინვენტარს, რომლებითაც ისინი მაღალი რანგის შეჯიბრებაზე გამოდიოდნენ და შესაბამისი აღწერილობით გამოუგზავნონ ისინი ან პირადად ჩააბარონ ზესტაფონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტს.

ეს დოკუმენტები და ინვენტარი პირველ ხანებში გამოფენილი იქნება ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ხოლო 1988 წლიდან ბინას დაიდებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტთან არსებული სპორტული დიდების მუზეუმში.

იმედია, ამ წამოწყებას ჩვენი თანამემამულე ყველა თაობის სპორტსმენი აქტიურად გამოეხმაურება.

**ზესტაფონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტი.**

## სტარტს იღებს „სპორტპროგნოზი"

1987 წლიდან ჩვენს ქვეყანაში კიდევ ერთი სპორტული ლატარია შემოდის — „სპორტპროგნოზი". თამაშის მსურველმა უნდა ამოიცნოს ფეხბურთელთა, ჰოკეისტთა, კალათბურთელთა და ა. შ. ტურნირების მონაწილე ცამეტი წყვილის შედეგი.

„სპორტპროგნოზის" ტირაჟი, როგორც წესი, კვირაში ერთხელ მოეწყობა. გუნდების სიას სსრ კავშირის სახელმწიფო სპორტკომიტეტის სპორტულ ლატარიათა მთავარი სამმართველო ტირაჟამდე ორი კვირით ადრე გამოაქვეყნებს.

ლატარიაში მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს, ვინც ბილეთის ბლანკს შეიძენს, სწორედ შეავსებს მას და შევსებული ვარიანტებისათვის საჭირო თანხას გადაიხდის. „სპორტპროგნოზის" ბილეთი გამარჯვებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში თუ სწორად იქნა მითითებული 13, 12 ან 11 შეხვედრის შედეგი.

ლატარიის მოგებათა ფონდში ჩაირიცხება ყოველი ტირაჟიდან შემოსული თანხის ნახევარი, მეორე ნახევარი კი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას მოხმარდება.

ტირაჟის შედეგები გამოქვეყნდება „სოვეტსკი სპორტში" და სხვა გაზეთებში, გადაიცემა რადიოთი. „სპორტპროგნოზის" ჩატარების პირობები პრესაში მოგვიანებით გამოქვეყნდება.

რა პრინციპით შეარჩევენ მატჩებს? ერთი იმის მიხედვით, რომ ამ შეხვედრათა შედეგები სპორტისმოყვარულთა რაც შეიძლება დიდ აუდიტორიას უნდა აინტერესებდეს. თანაც პროგნოზი საკამათო უნდა იყოს, ვინაიდან სპორტში ბევრი შეხვედრის შედეგის წინასწარ ამოცნობა არც ისე რთული საქმეა.

მატჩებს სპეციალური კომისია შეარჩევს როგორც ჩვენი, შინაური, ისე საინტერესო საერთაშორისო ტურნირებიდან.

უახლოეს მომავალში პრესაში დაიბეჭდება „სპორტპროგნოზის" თამაშის პირობები, გაეცნობით ყველა იმ წვრილმანს, რაც მის ჩატარებასთან იქნება დაკავშირებული.



**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი**

**ფეხბურთი ● 1 ნოემბერი ● სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**„დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (მოსკოვი)**

დასაწყისი 19.00 საათზე.

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 27, 28 ოქტომბერს, ხოლო სტადიონის სალაროებში — 27 ოქტომბრიდან; აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთის შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში; სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, სამამულო ომის მონაწილეთათვის იმუშავებს № 6 სალარო.

სალაროები ღიაა 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე).

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გაიმართება 31 ოქტომბერს „დინამოს" სტადიონზე.

დასაწყისი 19.00 საათზე.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის.— თბილისი, „ლელო".**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„მართვე" — 93-97-27, „შერანი" — 93-97-26.**

**ჩვენი ინდექსი: 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 0589